



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law

**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**

**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 4

„27“ „03“ 2019 წ.

**დადგენილება № 4**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთათვის დამატებითი შეღავათის დაწესების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ზ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტისა და „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების გახსნის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 17 ოქტომბრის N24 დადგენილების თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთათვის, დაწესდეს დამატებითი შეღავათი და განახევრდეს მოსამზადებელ კურსებზე სწავლის საფასური მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (მრავალშვილიანი არის ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები).
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და გაეგზავნოს შესაბამის სამსახურს.
4. საფუძველი: „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთათვის დამატებითი შეღავათის დაწესების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის N7 დადგენილება.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეტალოურგების ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

ლ.



ლავრენტი ჩიბურდანიძე